ქ. ბათუმი 24.09.2019 წ

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს

მრჩეველთა საბჭოს

განცხადება

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 23 სექტემბრის განჩინებით შეჩერებული იქნა სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს 2019 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილება N01-01/19 მაუწყებლის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ. სასამართლოს მიერ განჩინება მიღებულია მოსარჩელე გიორგი კოხრეიძის შუამდგომლობის საფუძველზე. შესაბამისად, დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსი შეჩერებულია შესაბამის საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სასარჩელო წარმოების სხვაგვარად დასრულებამდე.